კულტურული ტურიზმი და მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილების მართვის აქტუალური საკითხები

ნაირა გალახვარიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველო

საკვანძო სიტყვები: ტურიზმი, კულტურული მრავალფეროვნება, არა განახლებადი რესურსი

ტურიზმი – ეს არის სხვადასხვა ხალხებს შორის დიალოგის პირობების შექმნის საშუალება. ტურიზმის როლია, წარმოაჩინოს ყველა ქვეყნის კულტურული მრავალფეროვნება და ამ მრავალფეროვნების მნიშვნელობა.

მსოფლიოს ხალხებმა, რომ იარსებონ, საჭიროა გამოავლინონ შემოქმედებითი ძალები და საუკუნეებს გადასცენ თავიანთი ისტორიის კვალი. კულტურული მემკვიდრეობა ეს ის ინსტრუმენტია, რომელიც უზრუნველყოფს ამ მიზნის მიღწევას, აერთიანებს რა წარსულს, აწყმოსა და მომავალს წარმოადგენს განვითარების საფუძველს.

კულტურული ტურიზმი მოიცავს ტურიზმი ყველა იმ მიმართულებას, რომელიც დაკავშირებულია ერის ისტორიის, კულტურის, ეთნოგრაფიის, მატერიალური და სოციალური მემკვიდრეობის პოპულარიზაციასთან.

თანახმად საერთაშორისო ტურიზმის ექსპერტთა დასკვნისა, საქართველოში ტურიზმის სახეების განვითარების კუთხით კულტურულ ტურიზმს ერთ-ერთი მთავარი ადგილი უკავია.

მიუხედავად საქართველოში ძეგლთა სიმრავლისა (12000-ზე მეტი სხვადასხვა ძეგლია) და მოვლა-პატრონობის მცდელობისა, ძალიან ბევრი ძეგლი ჯერ კიდევ სათანადოდ მოვლილი არ არის, საჭიროა შეჩერდეს მათი განადგურება და ისინი წარსდგნენ სრულმნიშვნელოვანი სახით დამთვალიერებელთა წინაშე.

ეს უმნიშვნელოვანესი ძეგლები შეადგენენ კულტურული ტურიზმის საფუძველს და სახელმწიფომ უნდა იზრუნოს მათ გარშემო შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა-მოწესრიგებაზე.

კულტურულ ტურიზმში მნიშვნელოვანია ატრაქციებისათვის ხარისხის მინიჭების საკითხი. ტურისტულ ატრაქციებს შორის პირველ რიგში უნდა დასახელდეს იუნესკოს მიერ აღიარებული ძეგლები. მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა პირველად გაჟღერდა 1972 წელს იუნესკოს მიერ მიღებული ამავე სახელმწიფოების კონვენციაში.

ტერმინი „მსოფლიო მემკვიდრეობა“ ძეგლთა იერარქიაში ყველაზე საპატიო ადგილს იჭერს. ღირშესანიშნაობა, რომელიც ამ ნუსხაში მოხვდება, სამართლიანად ითვლება უნიკალურად და მას ენიჭება მსოფლიოს საგანძურის წოდება. ნუსხაში მოხვედრა ნიშნავს, რომ ძეგლი არის კულტურისა და ისტორიის უმნიშვნელოვანესი ქმნილება.

განსაკუთრებულ მდგომარეობაში იმყოფებიან ძეგლები, რომლებიც შევიდნენ იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში.

მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილების მართვა უნდა ეყრდნობოდეს შესაბამისი ქვეყნის ტრადიციებსა და კანონმდებლობას. ქვეყანამ უნდა უზრუნველყოს საკანონმდებლო ბაზის სისტემატური გადამოწმება და საჭიროების შემთხვევაში მისი განახლება.

იმ მომენტიდან, როცა ღირსშესანიშნავი ადგილი ოფიციალურად ჩარიცხულია მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში, აუცილებელ პირობას წარმოადგენს იმ მახასიათებლებისა და ღირებულებების მუდმივი დაცვა და შენარჩუნება, რომლებმაც განაპირობეს მისი საყოველთაო მნიშვნელობა და რომლებიც მას გამორჩეულ ნიმუშად აქცევს. კერძოდ, ღირსშესანიშნავი ადგილის მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანის მომენტიდან მიუღებულია ნებისმიერი ქმედება, რომელიც გამოიწვევს მისი ავთენტურობის ან სხვა ღირებულების შემცირებას. ამიტომ ოფიციალური შეფასების დოკუმენტი, რომელსაც ემყარება ღირსშესანიშნავი ადგილის მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანის გადაწყვეტილება, ძალზე მნიშვნელოვანია. მან უნდა წარმოაჩინოს ღირსშესანიშნავი ადგილის ის ღირებულებები, რომელიც მის მნიშვნელობას განსაზღვრავს, თან იმგვარად, რომ ეს გასაგები იყოს ნებისმიერი დაინტერესებული პიროსათვის.

იმ შემთხვევაში, როცა ღირსშესანიშნავი ადგილი დეგრადირებულია იმგავრად, რომ დაკარგული აქვს ძირითადი მახასიათებლები, მაშინ ეს განაპირობეს მისი მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხიდან ამოღებას.

კულტურული მემკვიდრეობის თანამედროვე ცნება დაკავშირებულია მთელ განაშენიანებულ გარემოსთან და აღქმული უნდა იქნას მსოფლიო ეკოლოგიური პრობლემების ჭრილში.

მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილები გამოირჩევიან მათი ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებით. კონსრვაციის პოლიტიკა უნდა ეყრდნობოდეს კრიტიკული შეფასების პროცესს, რომელიც იწყება კულტურული ობიექტის შესწავლით, დოკუმენტირებით, მისი დამახასიათებელი კულტურული თვისებებისა და მასთან დაკავშირებული ღირებულებების განსაზღვრით. ღირებულებები ორ ჯგუფად იყოფა: კულტურული ღირებულებები და თანამედროვე ეკონომიკური ღირებულებები.

კულტურული მემკვიდრეობის თანამედროვე ცნება არის თანამედროვე საზოგადოების, მისი ღირებულებებისა და მოთხოვნების განვითარების შედეგი.

დღეს კულტურული მემკვიდრეობა აღიქმება მისი ფართო გაგებით და მოიცავს ნებისმიერ ნიშანს, რომელიც ასახავს ადამიანის ქმედებებსა და მიღწევებს კაცობრიობის არსებობის განმავლობაში.

ვინაიდან კულტურული მემკვიდრეობა მსოფლიოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი არაგანახლებადი რესურსია, ამი-

ტომაც განსაკუთრებული ძალისხმევაა საჭირო ადამიანების მოთხოვნილებებსა და მემკვიდრეობის დაცვის ინტერესებს შორის წონასწორობის აღსადგენად.

მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავ ადგილებთან მიმართებაში მხედველობაში მიღებულ უნდა იქნას როგორც კულტურული, ასევე თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური ღირებულებები.

მემკვიდრეობის ობიექტთან ასოცირებული კულტურული ღირებულებები და მათი მიმართება დღევანდელ დამთვალიერებლებთან უცილობლად სუბიექტურია, რადგან ისინი დღევანდელობის ამსახველ ინტერპრეტაციებზეა დამოკიდებული. ეს შეფასებები განსაზღვრავს საზოგადოების ინტერესის დონეს ობიექტისა და მისი გარემოს მიმართ.

კულტურული ღირებულებები შეიძლება კლასიფიცირებულ იქნას სხვადასხვა კუთხით:

1. თვითმყოფადობა (დაფუძნებულია აღიარებაზე) – ღირებულებების ეს ჯგუფი ასახავს საზოგადოების ემოციურ კავშირს ამა თუ იმ ობიექტთან თუ ადგილთან. იგი მოიცავს შემდეგ მახასიათებლებს: ასაკი, ტრადიცია, უწყვეტობა, მემორიალულობა, ლეგენდარულობა, გრძნობა, სულიერება, რეგულარობა, სიმბოლურობა, პოლიტიკურობა, ეროვნულობა და პატრიოტულობა.

2. შედარებითი მხატვრული ან ტექნიკური ღირებულება (დაფუძნებულია კვლევაზე) – ღირებულებების ეს ჯგუფი დაფუძნებულია მემკვიდრეობის ობიექტის მხატვრული გადაწყვეტის, მისი ტექნიკური, კონსტრუქციული და ფუნქციური მახასიათებლებისა და ხელობის მნიშვნელობის მეცნიერულ და კრიტიკულ ისტორიულ შეფასებაზე.

3. იშვიათობა (დაფუძნებულია სტატისტიკაზე) – ღირებულებები ეს ჯგუფი ასახავს ობიექტის მიმართებას იმავე პერიოდის, ტიპის, სტილის, მშენებლობის, რეგიონში არსებულ სხვა ნაგებობებთან, რაც განსაზღვრავს ობიექტის იშვიათობას, ან უნიკალურობას.

თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური ღირებულებები დაკავშირებულია დღევანდელ საზოგადოებასთან და მის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინფრასტრუქტურასთან.

სოციალურ-ეკონომიკური ღირებულებები იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

1. ეკონომიკური ღირებულება – ეკონომიკა ხელს უწყობს რესურსების საუკეთესო გადანაწილებას საჭიროებების ფართო სპექტრის მიხედვით. ეკონომიკური ღირებულება არ შეიძლება გაიგივებულ იქნას ფინანსურ ღირებულებასთან. კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ეკონომიკური ღირებულება მოიაზრება, როგორც თავად მემკვიდრეობის ობიექტის მიერ ან მისი კონსერვაციის შედეგად წარმოქნილი ღირებულება.

2. ფუნქციური ღირებულება – დაკავშირებულია ეკონომიკასთან, რამდენადაც იგი გულისხმობს შენობის ან არეალის თავდაპირველი ფუნქციის უწყვეტობას ან მათთვის ახალი თავსებადი ფუნქციის მინიჭებას. ნანგრევებად ქცეული ობიექტის თავდაპირველი ფუნქციური ღირებულება დაკარგულია, მაგრამ მან შესაძლებელია შეიძინოს ახალი ფუნქცია, რაც მოემსახურება ობიექტის ინტერპრეტაციის პროგრამის მოთხოვნებს.

3. შემეცნებითი ღირებულება – მოიცავს მის პოტენციალს კულტურული ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით, ასევე კულტურისა და ისტორიის გაცნობიერებას, რაც ხელს უწყობს ისტორიული ობიექტების დღევანდელ ცხოვრებაში ჩართვას.

4. სოციალური ღირებულება – მემკვიდრეობის ობიექტის სოციალური ღირებულება დაკავშირებულია ტრადიციულ სოციალურ საქმიანობასთან და თავსდება დღევანდელ გამოყენებასთან. სოციალური ღირებულება ასახავს ადგილობრივ თემში თანამედროვე სოციალურ ურთიერთქმედებას და მნიშვნელოვან როლს თამაშობს სოციალური და კულტურული თვითმყოფადობის ჩამოყალიბების პროცესში.

5. პოლიტიკური ღირებულება – ის ხშირად დაკავშირებულია მემკვიდრეობის ობიექტის ისტორიის ამ თუ იმ, რეგიონისა ან ქვეყნისათვის საყურადღებო მოვლენასთან. ეს მოვლენები განსაზღვრავენ ობიექტის დღევანდელ მნიშვნელობას იმდენად, რამდენადაც ეს შეესაბამება თანამედროვე პოლიტიკურ პრიორიტეტებს.

მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილების წარმატებული მართვა დამოკიდებულია უფრო ფართო მიზნებზე. არ არის აუცილებელი მოგება იყოს ფინანსური, არამედ შესაძლებელია შეფასდეს სოციალური სტატუსის, პრესტიჟის ამაღლებისა და პოლიტიკის თვალსაზრისით. დღეს უმეტეს შემთხვევაში იცვლება საზოგადოების ტრადიციული ცხოვრების წესი, რაც სხვა შედეგებთან ერთად იწვევს ქალაქების ხასიათის ძლიერ და სწრაფ გარდასახვას, სადაც მოსახლეობის დიდი კონცენტრაცია და თანამედროვე კულტურა ეძებს თავის გამოხატულებას.

მსოფლიო მემკვიდრეობის ქალაქების მმართველებმა უნდა მიიღონ არსებული რეალობა, რომელიც ისტორიულ ცენტრებზე მნიშვნელოვან ზეწოლას ახდენს. ეს პრობლემები კიდევ უფრო მეტს მოითხოვს მართვის კუთხით. იმისათვის რათა არც ძველმა ნაგებობემა შეიწიროს და არც თანამედროვეობის ჩრდილოვანმა მხარეებმა სძლიოს. ისტორიული ქალაქები უნდა იმართებოდეს კარგად ინფორმირებული კვალიფიციური პროფესიონალების მიერ, რომელთაც აქვთ სწორი ხედვა.

ტურიზმის განვითარების კუთხით მსოფლიო მემკვიდრეობის ქალაქების ფუძემდებლურ ღირებულებებზე გავლენას ახდენს შემდეგი კრიტერიუმები:

1. ადგილობრივი მაცხოვრებლებს მიერ კულტურული მემკვიდრეობის ღირებულებების აღქმა.
2. მოწესრიგებული სათანადო ინფრასტრუქტურა.
3. კულტურული ძეგლის კონსერვაციაში საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი.
4. მოვლის სტრატეგიის შემუშავება.
5. ზეგავლენის შესაძლებლობა დემოგრაფიულ გადაადგილებებზე (ე.ი. მეტისმეტი სიმჭიდროვე ან პირიქით ისტორიული ძეგლიდან მოსახლეობის გადინება).

6. ადგილობრივ მოსახლეობაზე ტურიზმის სოციალური გავლენა.

7. ტურისტების მხრივ ისტორიული ცენტრების ჭარბი გამოყენების შემცირების შესაძლებლობა.

8. მსოფლიო მემკვიდრეობის კულტურული ცენტრებისა და ქალაქების დამატებითი ღირებულება, მათი გამოყენება.

1990 წელს ICCROM–ის კონფერენციაზე ბ–ნ სტრილინგმა თავის მოხსენებაში ქცევის კოდექსის ჩამოყალიბებისას განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო მასპინძელ საზოგადოებაში მცხოვრები და მომუშავე ადამიანების ინტერესებს, კერძოდ, „მასპინძელ საზოგადოებაში მცხოვრები და მომუშავე ადამიანების გრძელვადიანი ინტერესები უნდა იყოს ტურიზმის განვითარების ვარიანტების შერჩევის უპირველესი განმსაზღვრელი ფაქტორი“.[1]

ერთ–ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რაც სტუმრობას სასიამოვნოს ხდის არის ღირსშესანიშნავი ობიექტის ძეგელების მომსახურე პერსონალის დამოკიდებულება დამთვარიელებელთა მიმართ.

მომხმარებლის მომსახურება უპირველესი პრიორიტეტია საზოგადოებასთან ურთიერთობის კუთხით. რამდენიმე ან თუნდაც ერთ ინციდენტს შეუძლია, საფუძვლიანად შეარყიოს კომპანიის რეპუტაცია და საზოგადოებას მისი პროდუქციისა და მომსახურების ნდობა დაეკარგება. მომხმარებლის კმაყოფილება მნიშვნელოვანია იმის გამო, რომ ის სხვას გაუზიარებს კომპანიასთან ურთიერთობების პირად გამოცდილებას.

გამოკვლევებით დადგენილია, რომ მომსახურებით უკმაყოფილო მომხმარებელი თავის შთაბეჭდილებას საშუალოდ 17 ადამიანს უზიარებს, კმაყოფილი კი მხოლოდ 11–ს.

დღეს ტურიზმის ინდუსტრია ჩვენი კულტურისა და საერთაშორისო ეკონომიკის მნიშვნელოვანი ნაწილია. ტურიზმი დინამიკურია, თუმცა მისი განვითარება არ უნდა აღემატებოდეს მოცემული ტერიტორისა და დამხმარე ინფრასტრუქტურის შესაძლებლობებს.

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მანილას დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ ტურიზმა უნდა გააუმჯობესოს ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების დონე, მათი ტრადიციული კულტურის ხელყოფის გარეშე.

მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილების მართვის გეგმა უნდა განსაზღვრავდეს დამთვალიერებელთა მომსახურების ამოცანებს. ეს ამოცანები განხილული უნდა იქნას ღირსშესანიშნავი ადგილის სამეურვეო კომისიასთან, ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებთან და ტურისტულ სააგენტოებთან ერთად, რათა კონფლიქტის არსებობა გამორიცხული იქნას. გასათვალისწინებელია დამთვალიერებელთა მოთხოვნილებები, როგორც ვიცით ყველა დამთვარიელებელს მოსწონს:

– მეგობრული მიღება და დახმარება ნებისმიერი სიძნელისა თუ გაჭირვებისას;
– სუფთა და კარგად მოვლილი ტერიტორია;
– მითითებები ადგილობრივი აკრძალვებისა და რელიგიური, კულტურული შეხედულებების შესახებ;
– ამა თუ იმ ძეგლის ან ღირსშესანიშნავი ადგილის ისტორიის, მათი საგანძურის პრეზენტაცია დამთვარიელებელთათვის გასაგები სახით;
– როგორც დამთვარიელებელთა, ასევე ნივთების უსაფრთხოება და დაცვა.

ღირსშესანიშნავი ადგილის მენეჯერებს ხშირად სურთ შეზღუდონ ტურისტების რაოდენობა ძეგლის დაზიანების თავიდან ასაცილებლად, ტურისტულ კომპანიებს კი სურთ მისი გამოყენება ტურისტების მოსაზიდად. ამდენად საჭიროა ოპტიმალური ნორმატივების დადგენა.

და ბოლოს დასკვნის სახით მინდა მოვიყვანო ვენეციის ქარტიის ძეგლთა დაცვისა და რესტავრაციის შესახებ ჩამოყალიბებული აზრი – „ხალხთა თაობების მიერ შექმნილი ისტორიული ძეგლები, რომლებიც წარსულის გზავნილის მატარებელია, დღემდე რჩება მათი საუკუნოვანი ტრადიციების ცოცხალ მოწმედ. კაცობრიობა დღითიდღე რწმუნდება, რომ ადამიანებს საერთო ღირებულებები გააჩნიათ და პატივს მიაგებს ისტორიულ ძეგლებს, როგორც საერთო მემკვიდრეობას მომავალი თაობებისათვის მათი დაცვის საერთო პასუხისმგებლობა ასევე არის აღიარებული“.

თითოეული ჩვენგანის მოვალეობაა – ეს მემკვიდრეობა მისი ავთენტურობის მთელი სიმდიდრით გადაეცეს მომავალ თაობებს.

[1] **ბერნარ მ. ფილდერი, იუკა იოკილეტო, „მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილების მართვის სახელმძღვანელო პრინციპები, თბილისი, 2007 გვ.185**

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჰერბ სტოველი (2007) „რისკისთვის მზადყოფნა: მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტის სახელმძღვანელო“ თბილისი.
2. ბერნარ მ. ფილდერი, იუკა იოკილეტო (2007) „მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილების მართვის სახელმძღვანელო პრინციპები“ თბილისი.
3. ნიკო კვარაცხელია (2009) „კულტურული ტურიზმი თეორია და პრაქტიკა“ თბილისი.
4. დენის ლ. იულკოქსი, გლენტ ტ. კამერონი (2011) საზოგადოებასთან ურთიერთობა „დიოგენე“.

CULTURE TOURISM AND ACTUAL ISSUES OF THE MANAGEMENT OF REMARKABLE WORLD HERITAGE SITES

NAIRA GALAKHVARIDZE
Professor of Georgian Technical University, Georgia

KEYWORDS: TOURISM, CULTURAL DIVERSITY, NOT A RENEWABLE RESOURCE

SUMMARY

The article is about importance of the landmarks and monuments in cultural tourism and it gives the specific information how to run management of such places.

The term "World Heritage" has the most important place in the hierarchy of monuments. The landmark or the monument, which happens to be on the list is rightly considered to be unique and it is assigned the rank of the world's treasure and it means, that the landmark or the monument is the most important thing of culture and history.

Once the monument is included in the "UNESCO World Heritage" list the country should provide to check the legislative base systematically and to renew it if necessary.

It is very important to protect and keep the monument's the characteristics and value that were the crucial points in recognizing the above mentioned place to be authentic and important for the mankind.

In case of damaging the monument that is in the World heritage list the monument is immediately taken from the list.

It's our duty to take care of the places of such great importance in order to keep them for our future generations.